

ოქმად პირადად არ გაცნობია და „საქართველოს“ არ დაბე-  
ჯეთნათ, მაგრამ თქვენ ად-  
რები გავიგეთ და გვწახვით.

# საქართველო

თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ო რ გ ა ნ ო

წლიური ფასი—5 მანეთი  
თვითღვეული ნომერი—25 კაპ.

№ 9

წელიწადი პირველი.

1 თებერვალი 1904 წ.

№ 9

უმტრჩილესად ვხსენებ ყველას, ვინც თანაგვიგზონდას, მღვწეობდა სულსა ყველაფერს მასალა, როგორც ქართუ-  
ლის, ისე ფრანგულის გამიცემისათვის: დღევანდები, წიგ-  
ნები, გონებისმშენებლები და წერილები.

რადგან ჩვენი განათება და განვითარება ერთად-ერთი თა-  
ვისუფალი ღრგანაა, ამიტომ მივადგილი დაეძლვა ყველა-  
ნიორ მიმართულების წერილებს, რომელთაც ახლად ექნებათ  
რედაქციის და ადმინისტრაციის ადრესი: **51, rue Saint-Sauveur, PARIS.**

ცალკე ნომრები იხილება:

**SOCIÉTÉ NOUVELLE de LIBRAIRIE & d'ÉDITION.**  
17, rue Cujas. PARIS (V°).

## ს ი ნ ა ა რ ს ი

საქართველო და კავკასიის ფედერაცია. — ქართ.  
ცხოვრების მატარებელი. — რუსეთის ს. - დ. მდინარე ერუ-  
ბის მიერ ახლად შემუშავებული პროგრამა. — რუსე-  
თის ს. - დ. ახალ პროგრამის გამო. — სომეხთა რეგ.  
წრეებში. — ვაჟა სომეხთა კათ. მკრტიჩს. — თავისუ-  
ფალი წერილები (ღია წერილი კავკასიის სფრ. - დემ.  
მიმართ, ძველ რევოლუციანერსა). — რუსეთის ქრლ-  
ნიკა. — სხვა-და-სხვა ამბები. — ფესტის ყუთი. —  
განგზავდება.

## საქართველო და კავკასიის ფედერაცია

ყველა კავკასიელთა სახელით არ ვლავარაფრობთ.  
ამის უფლება არა გვაქვს. საჭიროდ მიგვაჩნია მხლ-  
ლად ვხორცით ჩვენი ახრი კავკასიის მდმაგალის და  
ამ ქვეყნის სახურველ და შესაძლებელ ბოლიტიკურ  
განვითარების შესახებ. გეოგრაფიულად, გეოლოგიულ-  
რად და ისტორიულად საქართველო დანარჩენ კავ-  
კასიასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც  
საქართველოს მდმაგალს იხსენიებენ, არ შეიძლება  
არ გაითვალისწინონ მთელი კავკასიის მდმაგალიც.  
ჩვენი ქვეყანა, როგორც ღრგანიული ნაწილი ერთის  
სხეულისა—კავკასიისა, ამ სხეულის საზღვარად გან-  
ვითარების გავლენის ქვეშ იქმნება ყოველთვის. ამი-  
ტომ არის შეუძლებელი ჩვენი მხედველობაში არ  
მივიდოდნ კავკასიის ბოლიტიკური ევოლუცია.

გეოგრაფიულად კავკასია ღრ დიდ ნაწილად იყლ-  
ფება—ჩრდილოეთის კავკასია და ამიერ-კავკასია,

ქართველ ხალხის ინტერესთა გამცხარჩლება. მხლლდ რე-  
დაქცია ამა თუ იმ წერილს თავის შემნიშვნასაც გაუკეთებს.  
მკითხველს ვხსენებ ყოველი ნომერი „საქართველოს“,  
წაითხვის შემდეგ, სხვებსაც გადასცეს სულსა, რათა ამ სა-  
სიით ხელი შეუწყოს ჩვენის განვითარების განვითარების საქმეს.  
ყოველი შემწეობა როგორც ფულით, ისე წიგნებით,  
დიდის მადლობით მიიღება.

მთა და ბარი. კავკასიის ქედი დასახლებულია ჩერ-  
ქებებით, ლეხებით, ლეკებით და სხვ. ესენი ძლიერ  
განირჩევიან ამიერ-კავკასიის მცხოვრებლებისაგან,  
როგორც გვარ-ტომებით, ენით, ისე საზრუნებებით  
და კულტურით. განათლების მხრივ უფრო ჩამორ-  
ჩენილნი არიან; ვაჭრობა, მრეწველობა და მოქალა-  
ქებრივი ცხოვრება ნაკლებად აქვთ განვითარებული.  
ისინი თემებად არიან შეკავშვულები ხევებში. მთიე-  
ლები დიდ ხანს უწყვედნენ ბრძოლას რუსეთს, ეურ-  
ჩებდნენ და არ ემდრჩილებოდნენ ძლიერ სახელ-  
მწიფეს ნახევარ საუკუნის განმავლობაში. ბოლოს  
ძალამ გასტეხა და ქედი მოიხარეს. რუსის მთავრ-  
ბამ შემოიღო მთაში სამხედრო, ადმინისტრაციული  
მმართველობა და ძალით დამონაგებული ხალხი ძა-  
ლითვე შეჭბოჭა.

კავკასიის მთიელებს ცუდი დღე დაადგათ. ისინი  
ყოველის მხრივ არიან დაჩაგრულნი—გეოლოგიურად  
და როგორც ხალხისდა. მძიმე ღონისძივით დაა-  
წვით სახელმწიფო გადასახადი, რომლის გაძღვლა  
ერთი ღრად ემძიმებად, რადგან უმეტესი ნაწილი  
შემოუსავლიან ხალ კლდეებზე სცხვრებებს. ამ უკა-  
ნასკნელ ხანებში მათ კიდევ მეტი გაჭირვება დაად-  
გათ. სამხედრო სამსახურის ნაცვლად, ისინი ფუ-  
ლად იხდიან სამხედრო ბეგარას. გარდა ამისა, მთა-  
შიაგ შემოიღეს «ბრძოლრიონული გადასახადი»,  
«აგენკას» რომ ეძახიან ჩვენში. ხარჯის ამკრფენი  
მამულის სივრცეს და სიდიდეს უყურებენ, იმახ ადარ  
დასდევენ, შემოაქვს რაიმე თუ არა. ლეკები, მაგა-  
ლითად, რომელნიც გახრდვილ კლდეებზე სცხვრდ-  
ბენ და ხაცვლად «ხინკალით» იკვეებინან, სასაწარ-  
კვეთილებამდე მავიდნენ, რადგან არამცთუ სახელ-  
მწიფეს, თავიანც ღჯახების მღონწენილებასაც  
ვერ აუდიან. ჯგუფ-ჯგუფობით გადადიან მხმალეთ-  
ში. მაგრამ ამის უფლებაგ აღარ აქვთ ამ ჟამად.

ხელე კავკასიის მთიელები იჩაგვრებიან როგორც ხალხისობა. მკაცრი სამხედრო წესი ანადგურებს მათ წყე-ჩვეულებას, თავისებურებას. სკოლებიდან თან-და-თან სდევნიან ოათრულ (არაბულ) ანბანს, რაიც მაჰმადის მიძვევარ მთიელებს ძლიერ სჩაგრავს, რადგან დიდი პატივი აქვთ არაბულ კულტურისა, მწერლობისა, განსაკუთრებით, იმიტომ რომ ყორანიც არაბულად არის დაწერილი. აჯანყების მიმით ყველგან ჯარის-კაცები არიან ჩაყენებულნი, რომელთაც არავითარი პატივისცემა არა აქვთ ადგილობრივ ხალხისადმი. ამრიგად, მთაში დიდი უკმაყოფილებაა. საკვირველიც იქმნებოდა სხვანაირად რომ ყოფილიყო.

ჩვენ ვერ ვიტყვით გადაჭრით, რა სახით უნდა შეიცვალდეს აწინდელი წესი. ყოველივე ეს თვითონ კავკასიელებმა უნდა აღიარონ და გამომარკვიონ (დარწმუნებული ვართ, რომ ამ მოკლე ხანში ისინიც ამოიღებენ ხმას). ჩვენ დარწმუნებით მხოლოდ ერთის თქმა შეგვიძლიან, აწინდელი სამხედრო რეჟიმი, რომელიც წყობრივად და ქაღებრივად ათახსირებს კავკასიელ მთიელებს, უნდა შეიცვალდეს და მის ნაცვლად დამყარდეს ახალი, ადგილობრივ ხალხთა წყე-ჩვეულების, სარწმუნოების და თვით-მმართველობის შესაფერი. ამგვარი ახალი წეს-წყობილება პოლიტიკურ ცხოვრებისათვის მოამზადებს კავკასიელ მთიელებს და თან-და-თან დაახლოვებს მეზობლებთან, ამიერ-კავკასიელებთან, რომელთანაც, მრავალი საერთო ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები გამომჟღავნებთ.

ამიერ-კავკასია, როგორც დაწინაურებული და მოქალაქობრივად განვითარებული კავკასიის ნაწილი, უფრო მომზადებულია ახალი პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებისა და წეს-წყობილების შეთვისებისათვის. ამიერ-კავკასია, იმიერთან შედარებით. მეტს სიმთვლეს და ერთიანობას წარმოადგენს, თუმცა აქაც არის ეროვნული და ლინგვისტიური განსხვავება. ამიერ-კავკასია ამ მხრივ სამ დიდ ჯგუფად იყოფება—ქართველები, სომხები და თათრები. ამათში ქართველები, გარდა ტფილისის გუბერნიის ერთის ნაწილისა, ერთ განცალკევებულ ჯგუფს შეადგენენ, ენით და ტერიტორიით გაერთიანებულს. სომხები და თათრები შეადგენენ მეორე ჯგუფს—ესენი ერევნის, განჯის და ბაქოს გუბერნიებში ერთად არეულები, მასრებად და ჯგუფებად არიან დასახლებულნი. ამის მიხედვით, ამიერ-კავკასია ორ ნაწილად, ორ ორგანიზაციად უნდა დაიყოს—ქართველები ერთის მხრივ, სომხები და თათრები მეორეს მხრივ, ამ დაყოფას საფუძვლად უძევს ეტნოგრაფიული განცალკევება და დანაწილება, სხვა ისტორიული-იურიდიული მოსაზრებანი რომ არ მივიღოთ მხედველობაში. რასაკვირველია, საქართველოს ფარგალში სომხებიც მოჭყვებიან. ხოლო ისინი აქ უმცირესობას

შეადგენენ, მაშინ როდესაც ამიერ-კავკასიის მეორე ნაწილში მათ თითქმის ნახევარი ადგილი უჭირავთ.

ქართველები დღეს ეროვნულ თვით-მმართველობის დაფუძნების სურვილს და განზრახვას აცხადებენ. ჩვენი ხალხის მომზადება თვით-მმართველობისათვის და თანამედროვე რუსეთის მერყეული მდგომარეობა რომ მივიღოთ მხედველობაში, ადვილად შესაძლებელია, რომ საქართველო დღეს თუ ხვალ ავტონომიურ პოლიტიკურ ორგანიზმად შეიქმნება. ხოლო, ვიმედობთ, საქართველო ამიერ-კავკასიის და მთელ კავკასიის მხოლოდ ერთ ნაწილს შეადგენს. იმიტომ მუდამ ქაშხ თვალწინ უნდა გვქონდეს იმგვარი პოლიტიკური ფორმა, რომელიც კავკასიის ერთა შორის გაამტავებს კავშირს და მასთან საშუალებას მისცემს თვითიერებს მათგანს თავისუფლად განავითაროს საკუთარი ეროვნული კულტურული თვისებანი.

საქართველო ეკონომიურად ვიწროდ არის გადამხული დანარჩენ ამიერ-კავკასიასთან. რაც დრო გავა, არსებული ეკონომიური ურთიერთობა და დამოკიდებულება მეტად განვითარდება. საერთო ეკონომიური ინტერესების დასაცავად, კულტურულ საერთო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭიროა შესაფერი პოლიტიკური ორგანიზაციის დაფუძნება. ეს პოლიტიკური ორგანიზაცია ფედერალიზმი იქმნება და კავკასიის ერთა შორის ფედერალისტური ურთიერთობა დამყარდება. ამ ფედერალიზმის ფარგალში თავდაპირველად ამიერ-კავკასიის ერნი შევლენ, როგორც უფრო დაახლოვებულნი და შეკავშირებულნი ერთმანეთში. ხოლო თან-და-თან, ამკარაა, ფედერაციულ ორგანიზმის ფარგალი გაფართოვდება და შიგ მოთავსდებიან ყველა კავკასიის ერნი.

ამ ქამად არ შევუდგებით ამ პოლიტიკურ ორგანიზაციის დაწვრილებით შესწავლას და აღწერას. ამ საგნის ტექნიკური და თუ შეიძლება ითქვას გარეგნული მხარე თავის დროზე გამომიკვვევა და გამოსახება. დღეს საჭიროდ მიგვაჩნია პრინციპების აღიარება და აგრეთვე აღიარება ქართველების სურვილისა სხვა ერებთან შეკავშირების და დაახლოვების შესახებ კულტურის აღორძინებისათვის. საქართველო და კავკასია მომავალში განუყოფელს სხეულს შეადგენენ. საქართველოს ავტონომია, ისე როგორც ავტონომია კავკასიის სხვა ნაწილებისა (მაგ. განჯა—ბაქო—ერევნისა) პირველი პოლიტიკური ნაბიჯი იქმნება რთულ ფედერალისტურ წეს-წყობილების დამყარებისათვის. ვინაიდან ფედერალიზმი იმგვარი ფორმაა ხალხთა შეკავშირებისა, რომელიც თვითიერებს, მხარეს და პრვიზინციას სრულ თვით-მოქმედებას ანიჭებს და მეორეს მხრივ, განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებელ რამდენიმე მეზობელ ერს ერთ გამაერთებელ პოლიტიკურ მართველობის ფორმას აძლევს.

რასაკვირველია, აქაც ჩვენ სხვა ერთა (ამიერ-კავკასიელების) სახელით არ ვლაპარაკობთ. ფედერა-

ლიში ძალ-დატანებითი წეს-წყობილება არ არის. ფედერალისტურის კავშირით თავისუფლად და თავის ნებით უერთდებიან ერთმანეთს სხვა-და-სხვა პრვიზიციები და სახელმწიფოები (როგორც, მაგალითად, ამ რამდენიმე წლის წინად მოხდა ავსტრალიაში, სადაც სუთი განცალკევებული ავტონომიური პრვიზიციები ერთმანეთს შეეკავშირა და შექმნა ავსტრალიის ფედერაცია). ჩვენის აზრით კავკასიაც აუცილებლივ დაადგება ამ გზას, როდესაც საკმარისად მომზადდება, როდესაც კავკასიის თვითიური ერთი და მხარე განთავისუფლდება სულის შემსუთველ რუსეთის აწინდელ წეს-წყობილებისგან და თვით-მომქმედ, თავისუფალ განვითარების გზას დაადგება. ავტონომიურად შექმნილი ერთი ერთმანეთს ხელს გაუწოდებენ კავშირის და სოლიდარობის ნიშნად ისე, როგორც ერთ დიდ ოჯახის წევრნი ერთმანეთს უახლოვდებიან, ესმარებიან და შველიან ოჯახის კეთილდღეობისა და წარმატებისათვის. ინტერესი და სოლიდარობის გრძნობა — აი ის ორი ძალა, რომელიც შექმნის კავკასიის ფედერაციას.

აქ იბადება ერთი კითხვა, რომლის განმარტებას ჯერჯერობით ყურადღება უნდა მივაქციოთ. წინად უკვე ვკვირდით ამის შესახებ ბაასი, მაგრამ ჩვენმა განმარტებამ ბევრს ეჭვები დაუბოძა და ერთობ ვერ დააკმაყოფილა. ჩვენ ვკავებს სახეში კავკასიის რუსეთთან დამოკიდებულება. მივიღეთ რა ანგარიშში საერთაშორისო აწინდელი განწყობილება, რუსეთის მომავალი პოლიტიკური ზრდა, ჩვენ ის აზრი გამოვსთქვით, რომ საქართველო და კავკასია რუსეთის პოლიტიკურ ფარგალში დარჩება და რუსეთის ფედერაციულ ორგანიზმში დამოუკიდებელ თვით-მომქმედ წევრის ადგილს დაიჭერს-თქო. ბ-ნი ძველი მოღვაწე, რომლის წერილი დაგვჭდავთ მე-5 ნომერში არ გვეთანხმება ამის შესახებ და აღიარებს, ევროპამ უნდა აღმოუჩინოს მთარველობა კავკასიის ფედერაციას. ავტორი ბრძანებს: კავკასიის სრული თავისუფლება უნდა მიენიჭოს; კავკასიელ ერთა შორის უნდა დამყარდეს ფედერაცია, რომელიც იქმნება დაცული ევროპის დაწინაურებულ ერთა მთარველობის ქვეშ.

თუ ჩვენ ამ აზრის მომხრენი არა ვართ, იმიტომ კი არა, ვითომ არ თანაუგრძნობთ და პრინციპიალურად არ ვუთანხმებით. არა, ჩვენი სურვილი და იდეალი უფრო შორსაც მიდის. ჩვენ გვწამს, რომ შორეულ მომავალში არამც თუ ერთ და თვითიურ მხარეს მიეცემა მოქმედების სრული თავისუფლება, არამედ ამგვარ მოქმედების უფლება მიენიჭება თვითიურ, კერძოდ ადამიანსაც, იმ ადამიანს, რომელიც საუკუნოების განმავლობაში თემის, საზოგადოების, სახელმწიფოს და სახელმწიფოთა კავშირის მიერ არის დამონავეებული და შეპყრობილი. სრული თავისუფლების განსორციელება სიცოცხლის მიზანია. ბრძო-

ლა ამ მიზნის მისაღწევი საშუალებაა. ყოველივე ეს გვწამს, ხოლო გვწამს და გვჯერა სხვა რამეც, სახელდობრ ის, რომ ადამიანმა და ერმა მუდამ ყამს არსებულ პირობებს ანგარიში უნდა გაუწიოს და ეგადოს იმგვარი უახლოესი მიზანი დაიყენოს წინ, რომლის მიღწევისათვის ძალა და უნარი შესწევს.

ევროპამ უნდა მთარველობა აღმოუჩინოს კავკასიასაც. კეთილი. მაგრამ ევროპას კი ჰხურს თქვენი მთარველად გაზდეს? განა ევროპიელ სახელმწიფოთა ინტერესები ერთნაირია? განა მათ შორის ქიშპობა არ არის? განა მუაგულ აზიაში ყველანი ერთნაირად მიისწრაფვიან? ან კიდევ განა რუსეთი ისე ადვილად დაუთმობს სხვას ის, რაც დიდის ტახით შეუძენია? ყოველივე ამას დაწვრილებით გავარჩევთ შემდეგ ნომერში და გზა-და-გზა ბმ. სეპარატისტსაც გავგეძმთ ბასუხს, და აგრეთვე შეურთებებლს, ავტორს საყურადღებო წერილისას, რომელსაც უალაგობის გამოდ დამატებაში დაგვებჭდავთ და რომელიც სწორედ ამ საყურადღებო და მძიმე გადასაწყვეტ საგანს ეხებიან.

**ქართულ ცხოვრების მახიანა**

კახეთის ადმინისტრაციის ავანაგურნი ქცევა.

თელავის მაწნიდან გვწერენ. — წარხულ გაზაფხულზე ს. აკურის ბოლღს თელავიდან სიღნაღს მიძავალი ფლტა გადარწვეს. წინანდალის ბოქაულმა ბ-ნ ვომელაულმა პირველად სამი ხოფლის წინანდლის, აკურის და ვაჩნაძიანის საზოგადოებათაგან რამდენიმე კაცი მის მიერ ან სხვისი დაბეჭდებით საეჭვოდ ცნობილი დაატუსაღა. სამი დღის განმავლობაში ეს დატუსაღებულები ინკვიზიციურ სასჯელს მისცა, რომ გამოეტყვნა. რაკი ვერას გახდა, ეს უსაბუთოდ დატუსაღებულნი თელავის ციხეში გაისტუმრა. ხოლო ზემოდ სხენებულ სოფლებს „გწეკუცია“ ჩაუყენა რამდენიმე დღით. ასეთია ზრუნვა ჩვენდა საკეთილდღეოდ (!) ჩვენის ადმინისტრატორებისა!.. საზოგადოდ, ისედაც პოლიტიკურათ და გკონომიურად მიწასთან ვართ გასწორებული, რომ ამას სოკოვით ადმინისტრატორების წრეს გადახული მოქმედებანი არ ემატებოდენ. ყოველ მოთმინებას საზღვარი აქვს, თუ გურიაში ჩვენმა მომქმედებმა თავის სულთამსუთავ ექსპლორატორებს უწყეს ყლიტა, ჩვენ კიდევ იძულებულები ვიქმნებით მივიყვთ ხელი ადმინისტრატორებს.

გამომელი გლესი



როგორ ეკიდება რუსეთის მთავრობა საქალაქლ არჩევნებს.

კახეთებში ვკითხულობთ, რომ ვუმერნატორმა არ დაამტკიცა სოხუმის საქალაქლ არჩევნები ვ. აბულაძისა და მაჭავარიანისა და მეორე სოხუმის ქალ. გამგეობის წევრს თითონ მთავრობა დანიშნავს. მიხეცი ამისა ის გახლავთ, რომ აბულაძე ქართველია. მთავრობას მშვენიერი წესი შემოულია; ჯერ ამოარჩვიანებს, არ დაამტკიცებს ამ არჩეულ პირებს და მათ მაგიერ თითონ დანიშნავს გარყვნილ რუსის მოხელეს. დღევანდელი თვით-მმართველობა მხოლოდ ვომედიას. სანამ რუსეთის თვით-მმართველობა არ დაემსობა, სანამ ჩვენ თითონ ჩვენი თავის პატრონები არ გავ-



სდებით, სანამ არ მოგვენიჭება ავტონომია, არავითარ გეგმულ მოქმედებას ქალაქის თვით-მართველობაში არ უნდა მოვლოდეთ. ჩვენმა მოღვაწეებმა უნდა მოაშადონ ჩვენი ხალხი ამგვარ ბრძოლისათვის. ნუ შევშინდებით, მტერი არც ისე ძლიერია როგორც გვგონია.

—(—)

რუსეთის პედაგოგია და ქართული გნა.

გუკიის სასაფლაო საეკლესიო სამრევლო სკოლაში 40 ქართველი და 6 რუსი მოწაფეა. მიმდინარე წლიდან ქართული გნა მოხაზილ იქმნება და სწავლება პირდაპირ რუსულ გნიდან იწყება. ვაშა რუსულ პედაგოგიას, რომლის მოთავეც გასწავთ გადუქმებული ვლადიმეროვი. ვენდებით ვაუწყეთ გვრდების საზოგადოებას ამგვარი რუსეთის სამეცნიერო პედაგოგია და ვეჭვობთ რომ ასეთმა ვლადიმეროვის შეგნიერებამ ძალიან ასწილს გვრდებში რუსეთის პრესტიჟი, რომელიც ასე ძვირფასია მისთვის. მოხწავლეთა მძობლებს ის და დარჩენიათ, რომ მიატოვებინდნ სკოლა თავიანთ მვილებს, რადგან ამგვარ სკოლებში გარყვნილების მტრს არაფერს ისწავლიან. აქ ჩვენ ახალგაზრდა ქალ-ვაყათათვის დართლ ასპარეზი იმლება კერძოთ შეახწავლდნ ნავშვებს ქართული წერა-კითხვა და მისგენ ისეთი ჭეშმარიტული მიმართულება, რომელიც საჭიროა გსლანდელ გაცირვებულ დღებში.

—(—)

ღრი მკვდრბარი.

გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი დიმიტრი ეწვია ბათუმში ჩერნ. ვესტ. რედაქტორ ბატონ პალმს. გარუსებულ ქართველი ეწვია გარუსებულ ურთას. ერთმავ და მედრემაგ გაყიდეს თავიანთი რჯული, გრდვნი და სამძობლო. ღრივეს ხურთ სხვისი დანაგვრით მოიგონ გული რუსეთის დგბლოტისა. საწყლებმა არ იციან, რომ რუსის მთავრდმა მათ მთლათ არ ენდობა ამგვარ გამგემლებს და ერთ მშვენიერ დღეს გადისვრის მათ როგორც დაჟანგებულ იარაღს.

**კახეთის სოციალ-დემოკრატიის მორკა კრების მიერ ახლად შემოუგავებული პროგრამა.**

წარსულ 1903 წლის წავსულის მიწურულში მდხდა მედრე კრება რუსეთის სოციალ-დემოკრატიისა. კრებას დაესწრენ 25 რუსეთის ს.-დემ. კომიტეტის წარმომადგენლები. მათ შორის იყვნენ აგრეთვე კავკასიის «კავშირის» წარმომადგენლებიც რომელთა შორის ქართველებიც იყვნენ. დანარჩენი რუსეთის სოციალისტები, როგორც მაგ., სოც.-რევოლუციონერები, არ ყდელიან მღწვეულნი. მღწვეულნი იყვნენ პოლენეთის და ლიტვის ს.-დ. წარმომადგენელი, ხოლო ამ უკანასკნელებმა და აგრეთვე ებრაელების სოც.-დემოკრატიულ კავშირის (ბუნდა) წარმომადგენელებმა მიატოვეს კრება და განაცხადეს რომ ისინი გადიან რუსეთის სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციიდან, რადგან უარს ჰყდენ თავიანთ ქვემდებარეობას რუსეთის სოც.-დემოკრატიისაგან და ხურთ მხოლოდ სოლიდარული კავშირი, რათა იქნინდნ დამოუკიდებელი მოქმედება და განვითარება.

ჩვენ მოგვყავს თარგმანი პროგრამისა, რომელიც გამღგემულია ახლად ამღრჩეულ რუსეთის სოც.-დემოკრატიულ ცენტრალურ კომიტეტის მიერ :

„რუსეთში, სადაც კაპიტალიზმი უკვე შეიქმნა ერთ უმთავრეს საწარმოვო იარაღად, დარჩენილია კიდევ მრავალი ძველი წესი, კაპიტალიზმის წინა ხანისა, რომელიც დაფუძნებული იყო მშრომელ ხალხის დამონებაზე ბატონისაგან სასელმწიფოსაგან და სელმწიფისაგან. ამნაირი დამოკიდებულება დიდად აბრვალეს ეკონომიურ პროგრესს. სელს უშლის პროდუქტორიატის კლასობრივ ბრძოლის განვითარებას და სელს უწყობს ბარბარულ ექსპლუატაციას რუსეთის გლეხებისა როგორც მთავრდების ისე შემღებულთა მიერ. მთელი ხალხი სამართალს მოკლებულია და იმყოფება სიბნელებაში.

ხოლო ყველაზე უმღიერესი ნაშთი ძველის წეს-წყობილები, და რომელზედაცა დამყარებული ეს ბარბარობა — არის თვით-მყრდებლობა. თვით-მყრდებლობას თავისი ბუნებით არ შეუძლიან წინ არ გადავლობს ყოველგვარ საზოგადოებრივ მოძრაობას. იგი მოხისსლე მტერთა პროდუქტორიატის ყოველ გამანთავისუფლებულ მისწრაფებათა.

ამიტომ, რუსეთის სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის უბირველესი წადილი არის თვით-მყრდებლობის დამსობა და მის ნანგრევებზე დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარება, რომლის გონსტიტუცია შემდგვ მუსლებში გამოისატება :

1. ხალხის თვით-მყრდებლობა, ე. ი. სასელმწიფოს უსუნახის უფლება განონმდებელ კრების სელში იქმნება. ეს კრება შედგება ხალხის წარმომადგენელებიდან და შეადგენს ერთ ს პალატას. (1)
2. მიენიჭეს ყველა 20 წლის ქალსა და კაცს საყოველთაოდ, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლება, როგორც კანონმდებელ კრების აგრეთვე ადგილობრივ თვით-მმართველობის ორგანიზაციების ამღრჩევის დრცს ; კენჭის ყრის საიდუმლოება დაცულია. ყოველ ამღმრჩეველს აქვს უფლება იქმნას იგი ამღრჩეული ყოველგვარ წარმომადგენლობითი დაწესებულებებში ; პარლამენტი ორის წლითაა ; ხალხის წარმომადგენლებს გძლევათ ჯამაგირი.
3. ვრცელი ადგილობრივი თვით-მმართველობა ; მანრების თვით-მმართველობა იმ ადგილებში, რომელნიც განირჩევიან სწე-ჩვეულებით და მცხოვრებლებით.
4. პირდვნიების და ოჯახის სელმეუხებლობა.
5. განუსაზღვრელი თავისუფლება სარწმუნოებისა, სიტყვისა, ბეჭდვისა, კრებებისა, გაიდვისა და კავშირებისა.
6. თავისუფალი გადასვლ-გადმოსვლა ერთ ადგილიდან მედრეში ; მრწველობის თავისუფლება.
7. წოდების გაუქმება და სრული თანასწორება ყოველ მამულიშვილისა განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და გრდვნიებისა ;
8. მცხოვრებთ სრული უფლება ექმნებათ სწავლა სამზობლო გნაზე მიიღონ ; ამისათვის საჭირო სკოლები სასელმწიფოდ და თვით-მმართველობის სარჯით იქნება შენახული ; კრებაზე ყოველ მამულიშვილს სრული უფლება მიეცემა ილაპარაკოს სამზობლო გნაზე ; ყოველ საზოგადოებრივ და სასელმწიფოდ დაწესებულებაში სამზობლო გნას თანასწორი უფლება მიენიჭება სასელმწიფოდ გნასთან ;
9. ყოველ ვრს, რომელიც სასელმწიფოდ ფარგალშია, მიეცემა თ ვ ი თ გ ა მ ო რ ე ვ ე კ ი ს (Самодержавие) უფლება ;

(1) გურსივი ყველაგან ჩვენია. რედ.



10. ყოველ პირს უფლება ექმნება დაწესებულ წეს-რიგით უჩივდეს ყოველ სახელმწიფო მოხელეს ნაფიც მსახულთა სასამართლოში ;

11. მსახულებს ხალხი ირჩევს ;

12. სამუდამო ჯარის მაგივრად, შემოდებული იქმნება ხალხის საყველთაო შეიარაღება ;

13. ეკლესიის განმდრება სახელმწიფოსაგან, აგრეთვე სკოლის გარდაკვევა ეკლესიისაგან ;

14. სწავლა როგორც საზღვად იხე პრელესიონალურ-რი უფასო და სავნდებულად მოწარმე თაღმისათვის 16 წლამდე, განურჩევლად სქესისა ; ღარიბ მოწადეებს სახელმწიფო სარჯით დაურიგდებთ საქმელ-სახმელი და საჭირო სასწავლო ნივთები.

რუსეთის სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტია თხოუ-ღდეს არაპირდაპირ გადასახადების გაუქმებას და პრელე-სიულ გარდასახადის დაწესებას შემოსავალზე და შემკვიდ-რებდასზე.

მუშათა ფინანსურ და სწავლებრივ გადაკარგებისაგან დასა-გველად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია თხოუღდეს :

1. ყველა დაქირავებულ მუშათათაის სამუშაო დღე რვა საათს არ უნდა აღემატებოდეს ;

2. დაწესება კანონით ყოველკვირეულ დასვენებისა, რომელიც შეუწყვეტელი უნდა იყოს არა ნაკლებ 42 სა-ათისა. ეს კანონი უნდა დაქირავებულ მუშებს ორივე სქესისას, ყოველგვარ წარმოებაში ;

3. აღვრძალვა მუშაობისა იმას მეტი, რაც კანონით ცნობილია ;

4. დამით მუშაობის აღვრძალვა (ხადამხ ცხრა სა-ათიდან დილის ექვს საათამდინ) ყოველ დარგებში, იმის გარდა რცა მას საჭიროება მოითხოვს ტენსიკურ მო-საზრების გამდ, თუ იგი მუშათა ორგანიზაციის მხრივ ცნობილი და შეწყნარებული იქმნება ;

5. ყოველ მრეწველს აღვრძალვა ამუშავის ბავშვებ-ში 16 წლისაზედ ნაკლები, ხოლო 16 წლიდან 18-დე სამუშაო დღე 6 საათი აქმნება ;

6. ქალის მუშაობის აღვრძალვა იმ დარგში, სადაც მუშაობა მათის ორგანიზმისათვის მავნებელია ; ყოველი ქალი ორსულობის დროს განთავისუფლებული იქმნება მუშაობისაგან 4 კვირით ადრე ვიდრე მოიმშობიარებ-დეს და 6 კვირით მშობიარების შემდეგ ; ამასთან ერ-თად მას მიეცემა დაწესებული ჩვეულებრივი ქონა ამ გარდენილ დროისა ;

7. ყოველ ქარსნებში და ფაბრიკებში გამართული უნდა იყოს აკვნები მუქუ-მწოვარა და პატარა ბავშვები-სათვის ; მაწოვარი ქალი განთავისუფლებული უნდა იყოს მუშაობის დროს ყოველ სამ საათში ერთხელ არა ნაკლებ ნახევარ საათისა ;

8. სახელმწიფომ უნდა იკისრეს მუშათა დასდევის საქმე ; როცა მუშა დაბერდება ან მუშობას ვეღარ შესძლებს სრულებით ან კიდევ რცა ღღნე უღლებს და წინასდებურად ვეღარ იმუშავებს, მაშინ სახელმწიფომ უნდა მისცეს შემწეობა იმ თანხიდან, რომელიც შესდ-გება კაპიტალისტებზე გაწერილ გადასახადიდან ;

9. მუშების ქირის ფასში აღვრძალულ იქმნება ფულის მაგივრად საქონლის მიცემა ; ანგარიშის გასწორება და ფულის დარიგება ყოველ კვირაში ერთხელ სავალდებ-ულად ;

10. აღვრძალვს ყველა მრეწველს მუშის სამუშაო ქირიდან ფულის გამოდრინგვა რა მიზეზითაც უნდა

იყოს იგი გამოწვეული ან რისთვისაც უნდა იყოს დანი-შნული (ჯარიმა, დაწუნება და სხვ.) ;

11. დაინიშნოს სამყოფი ზედამხედველთა რიცხვი ქარსნებზე და სახელდსნებზედ ყოველ დარგში ; ქარ-სნის ინსპექციამ აგრეთვე თვალ-ყური უნდა ადევნოს ყოველ იმ საქმეს, სადაც ქირით მუშაობა (ამ ინსპექ-ციას ექვემდებარებიან, როგორც სახელმწიფო წარმოე-ბანი ისე მინაური მოსამსახურენი) ; ქალების დანიშნვა ინსპექტორებთ იქ, სადაც ქალები მუშაობენ ; მუშები ამოიჩვენენ წარმომადგენლებს, რომლებსაც მიეცემათ სახელმწიფო ჯამაგირი, ამ წარმომადგენლებმა უნდა თვალ-ყური ადევნონ, რომ საუბრივი კანონები არ იყოს დარღვეული ; ამათ სხვათა შორის მიენდობათ დაწუნებულ საქონლის მიღება, მისი დაფასება და აგ-რეთვე ნამუშავის დაფასება ;

12. ადგილობრივი თვით-მმართველობის ორგანონი და მუშათა წარმომადგენლნი თვალ-ყურს ადევნებენ იმ სასლებს, რომელიც მრეწველმა მუშებს დაუთმო. მათ უნდა თვალ-ყური ადევნონ სახლ-კარის თავდა-რიგს, სახლის გაცემის პირობებს, რომ მრეწველი არ ჩაერიოს მუშის კერძო ცხოვრებაში ;

13. ყოველ სამრეწველო დარგში, სადაც კი დაქირა-ვებული მუშები არიან, უნდა დაწესდეს ნამდვილი სა-ნიტარული ზედამხედველობა ; სამკურნალო-სანიტარუ-ლი ორგანიზაცია მთლად დამოუკიდებელი უნდა იყოს მწარმოებელისაგან ; საექიმო დასმარება მრეწველის სარჯით და ავადმყოფობის დროს სამუშაო ქონა არ ეკარგება ;

14. თუ მრეწველი დაარდევს შრომის მფარველ კა-ნონებს სისხლის სამართლის პაზუნის გებაში მიიგება ;

15. ყოველ სამრეწველო დარგში უნდა დაწესდეს სა-მრეწველო სასამართლო ; ამ სასამართლოს შეადგენენ მუშების და მრეწველების წარმომადგენლები თანა-სწორ რიცხვით ;

16. ადგილობრივ თვით-მმართველობის ორგანონებს დაუკალბათ ყოველ სამრეწველო დარგისათვის მუშა-ვალ კანტორების დაარსება როგორც ადგილობრივ მუ-შებისათვის, ისე მოხულებისათვის ; ამ კანტორებში უსათუოდ მუშების წარმომადგენლებიც უნდა იყვნენ.

რომ სრულებით აღმოიფხვრას ბატონ-ყმურ წეს-წყობი-ლების ნაშინი, რომელიც ისე აწუნებს და სჩაგრავს მთელ გლეხობას და რომელიც უშლის კლასთა ბრძოლის თავი-სუფალ განვითარებას, სოციალ-დემოკრატიული პარტია თხოუღდეს :

1. გამოხასყიდი და საღალო გარდასახადების გაუ-ქმებას ; აგრეთვე გაუქმება ყოველ ვალდებულობისა, რომელსაც დღეს გლეხობა უძღვება, როგორც მოსარეკე წოდება ;

2. ყველა იმ კანონების მოსაბედას, რომლებიც სელს უშლიან გლეხს თავისუფლად მოისმაროს მიწა ;

3. დაუბრუნდეთ გლეხებს წინათ გამდრთმეული რე-ვორც გამოხასყიდი, ისე საღალო ფული ; ამისათვის უნდა ჩამოერთვას ქონება ეკლესიას და მონასტრებს ; აგრეთვე ჩამოერთვათ მამულები საუფლისწულოდ და სელმწიფის გვარეულობას ; უნდა დაწესდეს კერძო გა-დასახადი იმ თავად-წინაურების მამულებზე, რომ-ლებმაც გლეხების დასახსნელ ფულით ისარგებლეს ; ამ გზით შეგროვებული ფულით დაარსდება სახალხო ფონ-დი სოფლის კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმა-ყოფილებლად ;

4. გლეხების კომიტეტების დაარსებას : ა) რომ სოფლის საზოგადოებებს დაუბრუნდეთ ის მიწები (ან ექსპროპრიაციის წესით ან სახელმწიფო უნდა გამოისყიდოს თავად-აწნაურთა სხვილ მამულების საარჯზე), რომელიც გლეხებს მოუჭრეს ბატონ-ყმობის გაუქმების დროს ; ბ) კავკასიის გლეხების საკუთრებაში უნდა გადავიდეს ის მიწები, რომლებსაც დღეს დროებით ვალდებული გლეხები სმარობენ (ხინგები და სხვ.) ; გ) მოიხსიან დარჩენილი ბატონყმური დამოკიდებულება ურალზე, ალტაიში, დასავლეთ მხარეებში და რუსეთის დანარჩენ ნაწილებში ;

5. სასამართლოებს მიენიჭებათ უფლება დაუკლდნ სოფელ იჯარის ფული, თუ იგი ძალიან დიდია და გააუქმდნ სოფელ ის ხელშეკრულებანი რომლებსაც ექსპროპრიაციის სახითი ექმნებათ.

რუსეთის სოფ.-დემოკრატიულ მუშათა პარტია მსახრდაუჭერს ყოველგვარ ეპოლიტიკურ და რევოლუციურ მოძრაებას, რომელიც რუსეთის დემოკრატიულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წეს-წყობილებას წინააღმდეგა ; ამასთანავე უარყოფს ყოველნაირ რევოლუციურ პრეტენზიებს, რომელიც აფართოვებენ და ამოიკრებენ მოხელეების და პოლიციელების მხრეზეაღების უფლებას მშრამელ კლასზედ.

**რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია ახალ პროგრამის გამოცხადება**

მოუთმენლად მოველოდით რუსეთის ს.-დემოკრატიული პარტია ახალ პროგრამის გამოქვეყნებას, რომელიც წარსულ 1903 წ. წაიკრულა მომხდარ ს.-დ. კონგრესზედ იყო შემუშავებული. კონგრესს დაეხწრო 25 ორგანიზაციის წარმომადგენელი და მათ შორის კავკასიის ს.-დ. კავშირის წარმომადგენელიც იყვნენ. ეს კრება ნებას ვვაძლევდა გვიფიქრა, რომ ახალი პროგრამა მეტის სისრულით, მეტის დაფიქრებით და რუსეთის სხვა-და-სხვა კუთხის ადგილობრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით იქმნებოდა შემუშავებული, მაგრამ მოლოდინი გაკვირვდა — პროგრამა, განსაკუთრებით მისი პოლიტიკური ნაწილი, არამც თუ არ არის საკუბით შედგენილი, არამედ ყალბ წიადაგსედაც არის აგებული.

მკითხველს არ შევაჩერებთ პროგრამის ეკონომიურ ნაწილზედ. ეკონომიის დემოკრატიულ პარტიების პროგრამებში ჰბოვებთ ყველა იმას, რაც რუსეთის ს.-დ მეორე კონგრესმა პარტიის საყურადღებოდ და სახელმძღვანელოდ წამოაყენა. ვიტყვიტო მხოლოდ, რომ რაკი რუსეთის ს.-დ. პარტიამ რუსეთის ყველა კუთხის მოთხოვნილებათ და საჭიროებათა გამოხსნა იკისრა, მას მეტი ყურადღება უნდა მიექცია იმპერიის განაპირა მხარეებზე. მაგალიტად, კავკასიის შესახებ პროგრამაში აღნიშნულია დროებით ვალდებულ გლეხთა და ხინანთა მდგომარეობა, ხოლო ჩვენი ეკონომიურ ცხოვრების სხვა უსაჭიროებს მოთხოვნილებასე კი ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. რუს-ახალმენთა გამწავლება კავკასიაში და საზოგადოდ, საკოლენიზაციო კითხვა, რომლის ჯერღვან გადა-

წყვეტასე ჩვენებურ მუშა ხალხის კეთილდღეობა დამოკიდებული ; ჩვენებურ სახაწინდ გლეხთა უნიადავ მდგომარეობა, მთავრობის უფლება სახაწინდ მიწების თავის სურვილისამებრ მდხმარებისა — არც ერთი ეს კითხვა არ არის შეტანილი პროგრამაში. ყოველივე ეს მით უფრო უნაურ მთაბუჭდილებას ასდენს მკითხველებზე, რომ პროგრამის ყოველ ნაბიჯზედ ავინებენ მკითხველს, რომ იგი, პროგრამა სახელმძღვანელო მთელის რუსეთის ს.-დ. ორგანიზაციებისა. თუ ხელმძღვანელია, ყოველის მხრივ უნდა გაეხსნა საგანი და თუ ამნაირი შრომის აღსრულება არ ძალ-ეღვა, არც უნდა ეკისრა ხელმძღვანელობა.

მაგრამ პროგრამაში გამოხსნულ პოლიტიკურ პრინციპებს რომ დავაკვირდეთ, მაშინ უფრო გამოჩნდება, რომ რუსეთის ს.-დ. პარტიას ყალბი მიმართულება ამოუტრეკია. იგი წინააღმდეგია სხვა-და-სხვა პარტიათა შორის ფედერაციულ ორგანიზაციისა და აგრეთვე წინააღმდეგია რუს.სახელმწიფოს ფედერაციულ სახელმწიფოდ აღიარებისა. პირველ გარემოებას სხვა-და-სხვა პარტიათა შორის განსეთქილება და შეუთანხმებლობა მოჰყვება, ხოლო ცენტრალურ სახელმწიფოს გამაგრების გამო ერთა შორის მფოთი და შეუთრეგებლობა ჩამოვარდება. ამის ნიშნები უკვე ხანს. ებრაელ მუშათა ავტონომიური ორგანიზაციისა, რომელსაც რუსეთის ს.-დ. პარტიასთან ფედერაციულად უნდოდა დავავშირება, იძულებული გახდა გამოხსულიყო რუსეთის პარტიიდან, რადგან ამ პარტიამ არ შეიწყინა და მოუკიდებლობა ებრაელ ორგანიზაციისა და მოსურვა მისი დაქვემდებარება ცენტრალურ კომიტეტთან. ებრაელთა ორგანიზაციის მაგალიტის სხვა ერთა ორგანიზაციებზე აუცილებლივ მიჰყვებიან. პოლონელი სოფ.-დემოკრატიებმა, მაგალიტად, ამგვარი პირბებში დაუყენეს რუსეთის პარტიას : 1. სრული დამოუკიდებლობა პროპაგანდის და საორგანიზაციო კითხვებში პოლონეთის და ლიტვის სამეფოს საზღვარში ; 2. პოლონეთ-ლიტვის ს.-დემოკრატიას უნდა დარჩეს თავის საკუთარი სახელწოდება ; ყველა გმოდებებზე გარდა წარწერისა : « რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტია », (1) უნდა იყოს კიდევ : « ს.-დ. პოლონეთ-ლიტვის სამეფოები » . . . . . 3. პოლონეთის ავტონომია და სხვ.

საინტერესოა, რანაირად უნდა შეათანხმდნ ერთმანეთში სასტიკი ცენტრალისტური საორგანიზაციო პრინციპი რუსეთის ს.-დემოკრატიისა, პოლონეთის და სხვა ერთა ს.-დემოკრატიის დამოუკიდებელ მოქმედების სურვილთან ? მეორე კონგრესზედ წამოყენებულ საორგანიზაციო პრინციპს რომ დააკვირდეთ, სწორეთ რომ გავდებოთ მისის მკაცრ პოლიტიკურ ელფერთ და თავისუფალ მოქმედების შემსუთველ სახითით. « ცენტრალური კომიტეტი არსებს კომიტეტებს, კომიტეტების კავშირებს და სხვა და-

(1) იხ. II съездъ Р. С.-Д. Р. П. Отчетъ делегаціи Бунда.

წესებულებათ ; ც. კომიტეტი ამ კომიტეტების მოქმედებას ხელმძღვანელობს... (1) ცენტრალურ ორგანოს რედაქციის ხელშია პარტიის იდეური წინამძღოლობა... ყოველი კერძო ორგანიზაცია ვალდებულია წარუდგანოს როგორც ცენტრალურ კომიტეტს, ისე ცენტრალურ ორგანოს რედაქციას ყოველგვარი ცნობა კერძო ორგანიზაციის მოქმედების შესახებ, აგრეთვე უნდა გაანდოს მათ ის პირობები, რომელიც კერძო ორგანიზაციის წევრებად ითვლებიან ». « ბუნდის » დელეგაციის ანგარიში გვარწმუნებს, რომ ამ უკანასკნელ საკითხის გარჩევის დროს ერთმა წევრმა წინადადება შეიტანა, ც. კომიტეტს და ორგანოს « ფორმულიარები » უნდა ჰქონდეს ხელში, რათა შემდეგ მიეცეს ზღვიერთ წევრების აზრთა « გვლ-ლიუციას » ადევნოს თვალ-ყური. ამგვარმა უკიდურესობამ დიდი პრეტენსი გამოიწვია კონგრესზე ზღვიერთ წევრთა შორის. « ლენინის აზრით (ლენინი უკიდურესი ცენტრალისტი), სთქვა ერთმა დელეგატმა — ცენტრალური კომიტეტი რაღაც დემოთია, რომელიც ყველგან იმპოვირება. — დემოთი კი არა, მუშტია, გაუსწორა ლენინმა. — ჰე, მუშტია, განაგრძო დელეგატმა, — რომელიც ყველას სწავლება, აღწევს პარტიის თვითეულ ჯარის-კაცამდე, ამ ჯარის-კაცს ხელში თოფს აძლევს და ეუბნება : აქ იდექ » (2).

საიდან წარმოდგა ამგვარი უკუღმართობა ? რატომ არის რუსეთის ს.-დ. პარტია სხვა-და-სხვა ორგანიზაციებთა შორის ფედერაციულ განწყობილების წინააღმდეგი ? იმიტომ, რომ იგი საზოგადოებრივ წინააღმდეგია ფედერაციულ პრინციპისა. იგი არ იწყნარებს ფედერაციულ სახელმწიფოს. რუსეთის ს.-დ. პარტიას « ხალხის » თვით-მპყრობელობა ჰხურს, ე. ი. სახელმწიფო უფლება უნდა იყოს საკანონმდებლო კრების ხელში, რომელიც ხალხის წარმომადგენლებისაგან შესდგება (3). კეთილი, მაგრამ რუსეთში სომ ერთი ხალხი არ არის !... ამ სხვა ხალხებს რას უბიძგებს რ. ს.-დ. პარტია ? ამ ერებს ანიჭებს ადგილობრივ თვით-მმართველობას (4) ე. ი. აძლევს იმას, რაც ესლა უკვე არსებობს რუსეთის შიდა გუბერნიებში — ანიჭებს ერობას. თუ თუ იკითხავთ, ეს სადაური სამართლიანობაა ; რუსეთის ხალხს პარლამენტი, დანარჩენ ერებს კი უბრალოდ ერობა-თქვ, ამაზე გიბახუხებენ ; პარლამენტი თქვენთვისაც არის ღია, აირჩიეთ დეპუტატი და გაგზავნეთ თქვენი ინტერესების დასაცავათ. სოლოდ რადგან ამგვარი პარლამენტარისში ვერავის ვერ დააკმაყოფილებს, რადგან ყველა შეგნაბული ერთი ყოველთვის მოიხურვებს თვითონვე მოუაროს და უპატრონოს თავის თავს, ამიტომ ამგვარ უმაღლერ ერ-

თა დასამომინებლად პარტიამ ერთი ხერხი მოიგონა. პრეგრამის მეცხრე მუხლში ჩართულია : მიეცეს ყოველ ერს, რომელიც სახელმწიფო ფარგალში იმყოფება უფლება თვითონვე განსაზღვროს თავისი მომავალი (право на самоопределение). საკულისხმოდ ის არის, რომ ეს დიდ-მნიშვნელოვანი ხოლო ფრთად ბუნდოვანი მუხლი პრეგრამაში სრულიად არ არის განმარტებული. მკითხველმა სწორედ რომ არ იცის რას ნიშნავს იგი « самоопределение » ?!

პრეგრამის პირველი და მესამე მუხლი რომ მივიღოთ მხედველობაში, სადაც რუსეთის მთლიანობის საჭიროება არის აღიარებული და ცენტრალისტიური პრინციპი გამტკიცებულია « ადგილობრივ თვით-მმართველობის » ნიადაგზე, მეცხრე მუხლს პრეგრამის მკითხველების თვალში ერთადერთი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს : ისინი გულისხმობდენ სეპარატიზმს, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ამრიგად, იმ ერს, რომელიც მოინდომებს რუსეთისაგან სრულიად მოშორებას, რუსეთის ს.-დ. პარტია აძლევს ამ უფლებას. მოგვიმდრით, სოლო ვინც დავრჩებით, ჩვენს ერთსეულობას და ერთგვარობას ნიადაგს ნუ უთხრით. ასეთია აზრი ამ მუხლისა. მაგრამ... მაგარი ის არის რუსეთში მყოფმა ერებმა რომ არ მოინდომენ რუსეთისაგან სრულიად განშორება ? ერთა უმრავლესობამ რომ ავტონომია მოითხოვოს და არ დაკმაყოფილდეს « ადგილობრივ თვით-მმართველობით », რომელსაც მოწყალის თვალთ აწოდებენ მათ, მაშინ რას იტყვიან პრეგრამის მთხზველები ? ან და რა ლოდიკაა, ერს უთხრა, მე გაძლევ « ადგილობრივ თვით-მმართველობას » და ამასთან გააგებინო მას, შენ თვითონ გაქვს უფლება გადაწყვიტო შენი მომავალი ! თუ კი მე მაძლევ უფლებას ჩემი ბედის გადაწყვიტვას, ამ ადგილობრივ თვით-მმართველობას რაღას მაჩეხებ ? არა სჯობია მკითხო, რაგვარი პოლიტიკურ დაწესებულებისაგან არის მიმართული ჩემი სურვილი ? მაგრამ პრეგრამის მთხზველებს ამკარაა ვერც კი წარმოუდგენიათ რომ ერობის მინიჭების გარდა, ან კიდევ პოლიტიკურ დამოუკიდებლობის გარეთ არსებობს კიდევ სხვაგვარი ურთიერთობა, რომლითაც შეიძლება დაკავშირდეს რამდენიმე ერთი ან ერობა, ან სრული განშორება, ავტონომია და ფედერაცია შეუწყნარებელია.

თავი დავანებოთ თეორიულ სჯა-ბაას. ცხოვრებას მივხედოთ. შევადართო ის მისწრაფებანი, რომელიც სხვა-და-სხვა ერთა გულში ჰბუდობენ იმ იდეალს, იმ პოლიტიკურ ფორმას, რომელსაც ამ ერთ რუსეთის ს.-დემოკრატია აწვდის. ფინლანდიაში უკვე არსებობს ეროვნული პარლამენტი. მართალია მის გაუქმებას ცდილობენ. მაგრამ არა გვგონია რუსეთში კონსტიტუციის დამყარების უამს გაჰმოდენ და წარუთვან მათ ეროვნული თვით-მმართველობა. ბოლო-

(1) Организация. уставъ Р. С.-Д. Р. § 6, 7, 11.  
 (2) Отчетъ делегации Бунда стр. 38.  
 (3) Программа Р. С.-Д. Р. II. § 1.  
 (4) ibid. § 3. კურსივი ყველგან ჩვენია.



ნეთის ნაციონალისტ-სოციალისტები, ეგრედ წოდებულნი პ. პ. ს. ცდილობენ ადაღვიონ თავიანთი დანაწილებული სახელმწიფო და მიანიჭონ მას სრული დამოუკიდებლობა. ყველამ იცის, რომ ამ პარტიას (პ. პ. ს.) დიდი გავლენა აქვს მოკავშირეობის პოლიტიკაში. პოლიტიკის სოციალ-დემოკრატიების პროგრამაში ავტორიტეტია არის აღიარებული, სომხების ს.-დ. ორგანო « პოლიტიკური » კავკასიის ფედერაციის აზრია გატარებული. ჩვენს ორგანოში, როგორც ქართულში, ისე ფრანგულში საქართველოს ავტორიტეტია, კავკასიის და რუსეთის ფედერაციის კითხვაა წამოყენებული. ქართველ და კავკასიის ს.-დ. ორგანო « კავკასიის ს.-დ. კომიტეტი კავშირმა » წარულ გაზაფხულში ამიერ-კავკასიის ავტორიტეტის დაწესების საჭიროება აღიარა და ამ ავტორიტეტის მართვა-გამგეობისათვის პარლამენტის დაარსება იცვნეს საჭიროდ ტფილისში. მალე მოხდება ანუ რუსიანებს იგივე მიხრატება აქვთ. რას ჰყოფიდა პრეზიდენტის შემდგომი ცნობები, ერთმ სურვილებს, არა-რუს მუშათა გადაწყვეტილებას რო-სურგი მიაქციეს და პოლიტიკური ხასიათის რეგლამენტი გამოაქვეყნეს? ეს სხვა-და-სხვა ერთა ბურჟუაზიის სურვილია და არა ხალხისა, გვიპასუხებენ. მაგრამ, ვსთქვათ, რომ მართლა ყველა, ვისაც არ შეიწყნარებს ცენტრალური ს.-დ. ორგანო, მართლაც ბურჟუაზიული გრძობებით არიან გამსჭვალულნი, პოლიტიკის სოციალ-დემოკრატიას, რას უბახუხებს ცენ. კომიტეტი? « კავკასიის კავშირს » რა პასუხს აძლევს იგი? ეს ორგანიზაციები ხელ არ მიიჩნია, რ. ს.-დ. პარტიას ბურჟუაზიულ ორგანიზაციებათ? მამ რატომ არც მათი აზრი შეიწყნარა მან? იმიტომ, რომ რუსეთის ს.-დ. პარტია პირველ შვილია რუსეთის ანტილიბერალისა, მას ვერ შეუთვსებია სხვა ტიპი სახელმწიფოები თუ არა ცენტრალისტური. დღეს ცენტრალური მდინარეა, ხვალ ცენტრალური რესპუბლიკა იქმნება. ყოველივე ეს მარტივია და ყველასათვის გასაგებია. რაც შეეხება ფედერაციას, იგი კარგია ამერეკლებისათვის, შვეიცარიელებისათვის, ხოლო შეუწყნარებელია რუსეთში, სადაც პოლიტიკური რეაქტის შეერთების მაგიერ ერთმანეთისგან გაამდრებ-სო. აქ ძველი ფსიხოლოგიაა, იგივე აზრია გატარებული, რომელსაც დღეს ანტილიბერალისტები ვითომდა ერთა საკუთილდღედ წმარობენ რუსეთის განუყოფლობის და მთლიანობის დასაცავად.

სწორედ რომ სავალად იქმნებოდა, რუსეთის ყველა რევოლუციონერები რომ ამ აზრისა ყოფილიყვნენ და ეროვნულ და ფედერაციულ პრინციპებს ასე მსუბუქად ეკიდებოდნენ. საბედნიეროდ, თვით სოციალ-დემოკრატიამაც აღმოჩნდა ამ ბოლო ხანებში დიდი უთანხმოება ამ კითხვების გადაწყვეტის გამდ. გარდა ამისა, ერთი დიდი ხეცია რუსეთის რევოლუციონერებისა, ეგრედ წოდებული « სოცია-

ლისტ-რევოლუციონერები », რომელთა რიცხვი და გავლენა დღითი-დღე იზრდება, ფედერალიზმის მომხრენი არიან და ეროვნულ კითხვებსაც ცნობების კულტურის და სამართლიანობის მოთხოვნილებათა მიხედვით სწყვეტავენ. შემდეგში დაწვრილებით გავაგრძობთ ჩვენს მკითხველებს მათ აზრებს.

სოციალ-რევოლუციონერის წამოხაზი

26 ოქტომბერს 1903 წ. ქ. ლენინში ერთმა სომეხმა ტიგრან არაქიანმა მოჭკლა სომხების გამომხინცი რევოლუციონერი საგათელ საგუნი. საგუნი ლენინში ჩამოსულიყო ქ. ბაქოდა, სადაც ნავთის მადნებში ინჟინრის თანამდებობას ასრულებდა. იგი ამდრეული იყო წევრად „ჭანჩაისტების“ ცენტრალურ კომიტეტში და დიდ მონაწილეობას იღებდა, როგორც პროპაგანდაში, ისე ბრძოლაში სომეხ ხალხის განთავისუფლებისათვის. რამდენიმე დღის შემდეგ იმავე სომეხმა კიდევ მოჭკლა ორი სომეხი: მასწავლებელი არამ ქრიქორიანი და ტენიკი ტიგრან იმ-მირიანი. ეს უკანასკნელნი, წევრნი ჭანჩაისტების საიდუმლო საზოგადოებისა, რუსეთიდან იყვენ მოხუცნი, ჭანჩაისტების კონგრესსად დასასწრებლად. ასლა კი მკვლელმა ვეღარ მოახერხა საქცევა, ამიღო რევოლუციონერი და იქვე თავი მოიკლა. არაქიანიც ამერიკიდან იყო მოხუცი და დავალებული ჰქონდა „ალტარისტების“ კომიტეტისგან მოვკლა სოციალური ჭანჩაისტი. ასეთმა ერთმანეთის შოგვა ყლურამ მეტად დაამცირა სომხების პრესტიჟი ევროპის საზოგადოების თვალში. სომხის საზოგადოებაც, რომელიც უზვად აწვდის სამუშაოს პროპაგანდისათვის, სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. დათმობის, კავშირის და ერთად სარევოლუციონ ბრძოლის მაგიერ, ეს ორი ჭანჩაისტების დასი გადაეციდნენ ერთმანეთს და საქმე მკვლელბამდინაგ მიიყვანეს. ამგვარი საქციელი უკულტურებისა და ველურ ინსტიტუტების ნიშანია. თუმცა ჭანჩაისტებში ბევრი შეგნებული ადამიანი ურგვია, მაგრამ შეუგნებელიც ბლომადაა, მეტადრეც ღმალეთიდან გამომქველნი.

მიზეზი ამ განხეთქილებისა ჭანჩაისტების მდრის გახლავთ შურისძიება, ინტრიგები და ფული, რომელთა გული-სათვის დაივიწყეს მკვლელობა თავიანთ ხალხისადმი. ამ თქვსმეტი წლის წინად სოციალური სომეხმა ემიგრანტებმა და რევოლუციონერებმა დაარსეს გაზეთი „ჭანჩა“ (ნდობათ), რომლის მიზანი იყო, ერთის მხრივ თავისუფალ იდეების გავრცელება სომეხ ხალხის მდრის და მდრეს მხრივ განმარტება ევროპის წინაშე ამ ერთს მდგომარეობისა. გაზეთი გამოდიოდა ორ კვირაში ერთხელ. ნელ-ნელა ამ გაზეთთან იკრიბებოდნენ ღმალეთიდან გამდრევილი სომეხები, ხოლო განათლებული მათგანი კი უფრო კავკასიის ანუ რუსეთის სომეხები იყვნენ. შემდეგში ამ საზოგადოებას სახელად „ჭანჩაისტი“ ეწოდა და ყველგან, რუსეთში, ღმალეთში, სპარსეთში, ამერიკაში და სხ. არჩევდნ დელოგატებს და გზავნიდნ ცენტრ. კომიტეტში. კომიტეტს სგვლიდნ ყოველ სუთ წელიწადში. 1896 წ. სახუნში აჯანყების შემდეგ მრავალი სომეხი მდგომარეობა ღმალეობაში. სოციალური რევოლუციონერებისა და აღმოჩინეს, რომ ერთმა კომიტ. წევრმა დაისა-კუთრა როგორც ფინდი ისე გაზეთი. ამგვარად ასტყდა მუთისძიება. ამავე დროს ბ-ნი არბიარი თხელულობდა ჭანჩაისტებისაგან ტერორულ მოქმედებას ფულის მდრისათვის. პროპაგანდის დროს ძალა უნდა ვიხმაროთ, რადგან მდიდრებს არ ესმით თავიანთი მკვლელობა. ეს დასი განზე გადგა დაირქვეს სახელად „ალტარისტები“, რადგან

მათი მოთავე ბ. ანტონ რესტუნი სწერდა გაზეთში „ალფარისი“ ფსევდონიმით. მარშან ორივე დახი „ჰანრაკისტებისა“ ვითომც შეერთდენ და ამოიღიეს 6 ააცი ცენტ. კომიტეტში, მოთავეთ განადეს საგათელ საგუნი. საგუნი ერთ თავის წერილში ამტყუნებდა ამერიკელ ალფარისტებს, რომ ისინი მაინც ძველ ტაქტიკას ადგანენ, რომ მათ მთავროვეს 20,000 დოლარი (40,000 მ.) რომელიც საზღვარდ საქმეს არ მღანმანგეს, გარდა ამისა სვგნი ჯამუშობდენ. ამ წერილმა დიდი ვნება მოუტანა ალფარისტებს და მათმა კომიტეტმა ს. საგუნის მოკვლა გადასწყვიტა. ამგვარი ქიშპობა ჩვენის მეზობლების რევოლუციონერთა წრეებში ყველასათვის სამაგალითდა, რადგან დაახუსტა მებრძოლი დასები.

ესლა ყველასე დირს შესანიშნავი სომხების რევოლ. პარტია არის „ფედერაცია“ (La Fédération), რომლის მოთავედ ითვლება სომხური ყურნალი „დრემაკ“. დრემაკს და მის პარტიას სურს ერთობა ქართველებთან, რის გამოც უკანასკნელ ნუშერში უძღვნა დიდი წერილი ყურნალ „საქართველს“; დასახრული ამ წერილისა ჯერ არ არის, როდესაც იქმნება ვეცდებით გადავთარგმნოთ და მოვაწოდოთ მკითხველებს.

**ვაზა სომხეთა კათოლიკოსს მკატიჩს!**

როდესაც რუსის მოხელენი მივიდენ კათოლიკოს მკრტიჩთან და მოხთხვეს სია, რომელშიაც აღწესხულია სომხეთა ეკლესიის ქცნება, მან უბახუსხა მოხელეებს: « ეს ქცნება მე არ შეკუთვნის, იგი სომხის ხალხისაა. რუსის ხელმწიფეს არ მიუცია იგი ხალხისათვის. ქცნება შესდგა სომხეთ ძველ მეფეთა შეწირულებისაგან, სპარსეთის მაჭების საჩუქრებისაგან და მდიდარ სომხეთა და მღვდვლთა ნაანდერძეებისაგან. უფლება არა მაქვს მივხვე ხელმწიფეს ის, რაც მისგან არ მიძიდა. შემდეგ ამისა კათალიკოსმა უჩვენა მოხელეებს ორდენები, რომელიც გულზედ ეკიდა და უთხრა: « აი მხოლოდ ეს მივიღე ხელმწიფისაგან და თქვენ შეგიძლიანთ კიდევაც წაშართვათ ».

განციფრებულ მოხელეებმა შენიშნეს მას, რომ იგი შეურაცხველეს თავის ქცევით ხელმწიფეს და ერთგულდობის ფიცს არღვევს. « სანამ ხელმწიფეს მივგემდი ფიცს, უბახუსხა მკრტიჩმა, მე შევცივე დიქერტს, ჩემს ეკლესიას და საყვარელ ხალხს ».

მოხელეები გამობრუნდენ, ხოლო მეორე დღეს ისევ მიადგენ კათალიკოსს და თანაც ზეინგალი გამოცოლიეს. ჩაამტვრიეს იმ ოთახის კარი, სადაც მკირფასი ნივთები ინახებოდა, ექშიაძინის სემინარიიდან 1/2 მილ. ფული გამოიტანეს და ყველივე წაიდეს. კათოლიკოსი ისე შესწუნდა, რომ ექშიაძინის მონასტერში ვეღარ დადგა და გაიანეს მონასტერში შეასიხნა თავი, რათა თვალთ არ დაენახა სამარცხვინდ ავაზაკობა მთავრობის აკურტებისა, და როდესაც რამდენიმე ხნის შემდეგ, ისევ თავის ხადგლში დაბრუნება დააპირა, მას წინ ჯარის-კაცები გადაედობნენ, რომელნიც მონასტერს უდარაჯებდენ, სე რომ კათალიკოსი ისევ გაიანეს მონასტერში დაბრუნდა.

ხოლო მოხელეებმა, გაათავეს რა თავიანთ საზიზღარი საქმე, მივიდენ კათალიკოსთან და ბოდიში მოინადეს, სალდათებმა ვერ გიცნეს და იძიტემ არ შეგისვეს მონასტერში. « აი ყუთში ვიბოვნე თქვენი ორდენები, უთხრა უფროსმა მოხელემ, ინებეთ ». — « არა, ევეც წაიდეთ, რაკი ობოლ ხალხს ყველავერი წართვთ, ევეც თქვენი იყოს, ამას არავითარი ფასი არა აქვს ჩემთვის » (1).

**თ ა ვ ი ს უ ზ ა ლ ი წ ა რ ი ლ ე ბ ი**  
**ღ ი ა წ ა რ ი ლ ი კ ა ვ კ ა ს ი ი ს ს ო ც ი ა ლ - ღ ე მ ო კ რ ა ბ ი ი ს მ ი მ ა რ თ**

მეგობარნო და თანამეკამუღენო,

« საქართველს » რედაქციამ, პირველ ქართულ თავისუფალ ორგანოს გამომცემისათანავე ძმურად მიმართა რუს. სხვა-და-სხვა ობოლიციონურ პარტიებს და აღუთქვა მათ დახმარება თავისუფალ მისწრაფებათა განხორციელებაში. რედაქციამ ცხადათ და გარკვევით გამომთქვა თავისი ერთგული პრეგრამა მომავალ დემოკრატიულ, პრეგრესიულ და ავტონომიურ საქართველს, რომელიც შეკავშირებული იქმნება ფედერაციულ წესით როგორც კავკ. სხვა ავტონომიურ ერებთან, ისე რუსეთთან.

ავტონომიის და ფედერალიზმის პრინციპი ადიარებული იყვ. როგორც რუსეთის მოწინავე მოაზრეთა, ისე პოლიტიკურ და რევოლუციონურ მოღვაწეთა მიერ. გერცენი და მისი მეგობრები, ჩენიშევსკი, მე-60 წლების რუსეთის ახალგაზდა დემოკრატია, სოციალ-რევოლუციონერები მე-70 და 80 წლებში ყველანი არამც თუ ნაციონალურ ავტონომიის მომხრენი ივვენენ, არამედ პრევიციალურ და ფედერაციულ წეს-წყობილებისაც კი. მათის წყალობით რუსეთის მოწინავე დასები შვეიცარიის და შვერთებულ შტატების რესპუბლიკებს და მათს ავტონომიურ კანტონების ფედერაციულ წეს-წყობილებას უყურებდენ როგორც უმაღლეს ფორმებს განათლებულ სახელმწიფოებისას; მართალია რუსეთის რევოლუციონერი დემოკრატია შვეიცარიის, შვერთებულ შტატების, კანადის, ახალ ზელანდიის და სხვა ავტონომიურ და ფედერაციულ ქვეყნების პოლიტიკურ წეს-წყობილებას განა თუ უყურებს ისე როგორც იდეალურს და საბოლოოვ მიზანს, რომლისკენაც მიიღტვის პრეგრესი. მან კარგათ იცის, რომ არსებობენ კიდევ სხვა უმაღლესი ფორმები სოციალისტურ წეს-წყობილებისა, ბრწყინვალე მომავალში, როდესაც სხვა-და-სხვა ერნი ძმურათ შეერთდებიან კაცობრიობის ფედერაციაში.

რა ფორმაში განხორციელდება სოციალისმი ჩვენს სამშობლოში, წინათვე ვერვინ იტყვის. იმ ფორმაში,

(1) ცნობებს ვიღებთ L'Européen-დან, № 102.

როგორც მღვდელმთავრმა იწინასწარმეტყველა, თუ ღვინის, ღვინო ბლანის, ჩერნიშევსკის, მარქის ან სხვების კლემენსტურ ფორმაში. როგორც სოციალ-დემოკრატიამ, აგრეთვე « საქართველოს » რედაქციამაც თავიანთ პრაქტიკულ პროგრამებში არ მოიხსენიებენ ეხლავა დაბოლოებულ ფორმებში სოციალისტურ წეს-წყობილების განხორციელებას. არამედ სურთ მარტო კულტურულ სამუშაოებით ან რევოლუციონერ პრინციპით გატანება ქართველთა ცხოვრებაში იმ დემოკრატიულ რეფორმების და იმ მუშათა განხორციელებისა, რომლებიც შემუშავებული იყო ლიბერალის მიერ და რუსეთის სოც.-დემ. და ს.-რევოლუციონერების მიერ.

რა გვხვს ჩვენ? კითხვობდა ლიბერალი 1895 წ. სოც.დემოკრატიის სახელით, და თითქმის იძულებულია პასუხს :

« სრული თავისუფლება პრესისა და სინიდიხისა ; საყოველთაოდ ხარისხიანი უფლება ყველა არჩევნებითი დაწესებულებებში, განურჩევლად თუ რაგვარი დაწესებულება იქნება, სასოგადოდ თუ სახელმწიფოდ ; ნაციონალური აღზრდა, სწავლა საყოველთაოდ და ყველახათვის ხელმისაწვდომი ; მუდმივ ჯარის გაუქმება და მის მაგიერ სახალხო მილიციის შემოღება ; მიენიჭეთ ქალებს ისეთივე უფლებანი როგორც კაცებს ; მთავრობითი წოდებები მუშების სასარგებლოდ ; სამუშაო დღის შემოკლება ; საჭიროდ ხანტარული წოდებები და სხ.

ყველა ეს მოთხოვნილებანი აღიარა « საქართველოს » რედაქციამაც. ყველა ეს მოთხოვნილებანი შეადგენენ დედა აზრს სოც.-დემოკრატიის პროგრამისას. ეს მოთხოვნილებანი, როგორც თითქმის ლიბერალი იმეორებდა :

« უკვე განხორციელდნენ ან ახლო მომავალში განხორციელდებიან სხვა-და-სხვა მოწინავე სახელმწიფოებში », — ფედერაციულ რესპუბლიკებში შვეიცარიაში და მეერთებულ შტატებში, დავუმატებთ ჩვენ.

სოციალ-დემოკრატები ამ მოთხოვნილებებს სოციალისტების მოთხოვნილებას ეძახიან, « საქართველოს » რედაქცია კი, როგორც მის წერილებიდან ხვანს, ამათ დემოკრატიულ მოთხოვნილებებად სთვლის. მამახადაძე თქვენ ორივენი უარს არა ჰყავთ ამ მოთხოვნილებებს. დავანებთ თავი სიტყვებზე კამათობას, მით უმეტეს, რომ ს.-დ. ორგანო « წარია »-მ კატეგორიულად გამოაცხადა : « ყოველგვარი სოციალისტურ ცვლილებაზე საუბარი, როგორც რუსეთის რევოლუციონერ მოქმედების უახლოეს მიზანზე უნაყოფიერად » (1). რაც შეეხება ს.დ. პრაქტიკულ პროგრამას, « საქართველოს » რედაქცია თანახმაა, როგორც სასოგადოდ, ისე მის კვლავიერ ნაწილისა, გარდა იმ მუხლისა. სადაც ეროვნული « **самоопред-**

ление »-ზე (თვითგამორკვევა) და სხვა ერთა ენების უფლებებზე არის ლაპარაკი.

მე მკვნი, რომ ეს « **самоопредление** » (თვითგამორკვევა) გერმანიის იურისპრუდენციის ტერმინია « **selbstimungrecht** », რომელიც ძნელი გასაგები, გამოუთქვამელი და მოკლებულია ყოველ დემოკრატიზმს. მართლაც რას ნიშნავს ეს « ნაციონალური **самоопредление** »? ჩვენ ქართველები, სომხები, რუსები როგორც ენის, ისტორიულად გამოვიტყვივით მით, რომ შევიმუშავებთ ეროვნული ენა, წეს-ჩვეულება, ლიტერატურა და სხ., მამახადაძე კულტურის მხრივ ეს ტერმინი გამოუსადეგარია. ხელს პოლიტიკურად... ნიშნავს თუ არა ეს ტერმინი იმას, რომ სხვა-და-სხვა ერებს უფლება ექმნებათ დამოუკიდებელი განდგენ, თუ მარტო ავტონომია მიენიჭებათ ; ან იქნება ეს ბუნდოვანი **самоопредление** იმას ნიშნავს, რომ სხვა-და-სხვა ერებს მხოლოდ პროვინციული თვით-მმართველობა მიეცემათ ?

თუ პირველია, მას პოლიტიკურ ენაზე უწოდებენ ეროვნულ დამოუკიდებულებას, ხელს თუ მეტრეა — ავტონომიას ანუ Home Rule-ს. ჩვენ რომ წინადადება მიგვეცა ავტონომიურ ვენგრიისათვის, ნორვეგიისათვის, შვეიცარიის კანტონებისათვის და მეერთებულ შტატებისათვის, რომელიც სრული ბატონობა არიან შინაურ საქმეებში, აქვთ თავიანთი განხორციელებლობა, პარლამენტები, სამინისტროები და სასამართლოები, რომ შეეცვალოთ ეს ყველაფერი **самоопредление** - თი, რასაკვირველია მასხარათ აგვივადებდნენ. ძირითად უფლებათა სივრცეში მარტივი ენა უნდა იყოს ნახმარი, რომ ათასნაირი განმარტება არ სჭირდებოდეს. ვაი იმ პარტიებს და იმ ერებს, რომელიც ამ სივრცეს სხვა-და-სხვა ნაირად ახსნიან.

გადავხედოთ შვეიცარიას, ნორვეგიას, მეერთებულ შტატებს და ჩვენც მოვითხოვოთ ავტონომია და არა რაღაც ნაციონალურა « **самоопредление** ». ვიქვნივთ იმდენი გამბედაობა, რომ საგანს თავისი საკუთარი სახელი დავუძახოთ ; ჩვენ პროვინციული თვით-მმართველობა კი არ გვინდა, არამედ ეროვნული თვით-მმართველობა, განხორციელებლობა, სასამართლო, სკოლა და სხ. — ესეებზე უნდა გვხუროდეს ყველა რუსეთში მყოფი ერთათვისაც. სოციალ-დემოკრატებმაც, როგორც დემოკრატებმა რწმენით უნდა მიბადონ ევროპის თავისუფალ დემოკრატიას და უნდა იხმარონ მეცნიერული ტერმინები და არა მეტაფიზიკურ ფილოსოფიისა.

მამ თქვენ ს.-დემოკრატებს, სოციალისტებს მომავალში ვიმეორებთ სოციალისტები მომავალში, ვინაიდან თქვენის ორგანოს (заря) აზრით, წეს-წყობილების სოციალისტურ ცვლილებაზე ახლო მომავალში, ყოველი ლაპარაკი უნაყოფიერად, რატომ არ გინდათ თქვენს პროგრამაში გამოაცხადოთ უმაღლე-

(1) ბ. პლენანდვი „მემდეგ რაია“? „წარია“ № 2—3, გვ. 25. — 1901.



ბრძოლები და ჰუმანიური პოლიტიკური წეს-წყობილება, რათ გინდათ დემოკრატიის თვალში გენერალისმის მომხრეთ და მის მფარველად გამოხვიფოთ? უპირატესობას რათ აძლევთ პრუსიის სახელმწიფოს და დღევანდელ რომანოვების იმპერიას, მკვიდრიახსე და შეერთებულ შტატებზე?

ეს მით უფრო სადგარია, რომ პრელეტარიატი რომლის დიქტატურასაც თქვენ თხოულობთ, მუდამ და ყოველ თავისუფალ ქვეყნებში პარიჟის კომუნის მოტრფიალეს და თვით ს.-დემოკრატების მასწავლებელი ენგელსი ამბობს :

« ჩუკვირდით პარიჟის კომუნას. ეს იყო პრელეტარიატის დიქტატურა » (1).

პრელეტარიატის ამ კომუნამ, პრელეტარიატის ამ დიქტატურამ გამოუცხადა საფრანგეთის ხალხს თავის მანიფესტში (19 აპრილს 1871 წელს) უმთავრესი ძეგლები პოლიტიკურ წეს-წყობილებების განთავისუფლებულ დემოკრატიისათვის : « პარიჟი დაუყვანებლივ თხოულობს ავტორიტას ყველა კომუნებისათვის — პარიჟის კომუნა, როგორც თავისთვის, ისე ყველა კომუნებისათვის თხოულობს უფლებას თავისუფალ ფედერაციის და თავისუფალ კავშირისას, რომელიც უწრუნველჭყდებს ფრანგების ერთობას. ხლდ ის ერთობა, რომლისთვისაც წრუნავს იმპერია, მონარქია და პარლამენტარიზმი არის თვითნები, დესპოტიური და შეუკნებელი ცენტრალიზაცია.

შეგობარნდ, როგორც ხედავთ, დემოკრატია პრელეტარიატი, მეგნიერება, პრელეტარიატი, დიქტატურა, რევოლუციონური კომუნა, ერთი სიტყვით ყველა ის, რაც თქვენთვის ძვირფასია თხოულობენ ავტორიტას და ფედერაციულ წეს-წყობილებას.

შე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც, კავკასიის ს.-დემოკრატნი დაუყვანებლივ ააფრიალებთ დრომას ამ წარწერით :

« თავისუფლება და თანახმობა, ხალხის თვითმმართველობა, ავტორიტეები სხვა-და-სხვა ერებს და თავისუფალი ფედერაციული კავშირი კავკასიის ავტორიტეულ ერთა და რუსეთის შიღრის ».

ეს დევიზი ჩვენი ქვეყნის უმაყოფილდ ელემენტებს ერთად შეაერთებს რუსეთის თვით-მპყრობელების წინააღმდეგ საბრძოლველად.

მამ გაჭბედეთ რაღა ; თქვენ წინ ვრცელი ასბარებისა.


**ქველი ჩვეოლუციონარი**

**რუსეთის შრომისა.**

რუსეთის მთავრობა და რკინის გზის მუშები.

ამას წინად სხდომა ჰქონდა რუსეთის მეფის მიერ საგანგებოდ დაარსებულ კომისიას, რომელმაც უნდა გამოემხნო რკინის გზის მუშათა შიღრის უწყობების მოხსარბი საშუალებანი. კომისიას დაესწრენ, პლევე, ვიტტე, კურლპატკინი, ლობკო, შემანი, ფრესკე, ენგელგარდტი და მიახგდოვი. პლევემ განაცხადა, რომ მინაგან საქმეთა სამინისტროს სურს გაადიდოს მამიებელ პოლიციის შესანახი თანხა და აგრეთვე გაამრავლოს ყანდარმების და ჯამუშების რიცხვი. კომისია დარწმუნდა, რომ მუშებს ადევლებენ გარემე პრეპარანდისტები. ამიტომ მათის გავლენის შესახებებლად კომისიამ საჭიროდ დაინახა შემოღება მუდმივ რკინის გზის მუშების შტატისა, რომელთა მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესებული იქმნება. 1) მიიღებენ ჯამაგირს დროებით დათხოვნის დროს ; 2) შემწეობა მიეცემათ ავადმყოფობის დროს და გადაყვანის დროს ; 3) ავადმყოფობის დროს 4 თვის ჯამაგირი ერთად მიეცემათ ; 4) მიეცემათ სადგომის ქირა ; 5) უფლება ექმნებათ საპენსიო კასაში მონაწილეობის მიღებისა ; 6) ნება მიეცემათ უფახდ ბილეთებით სარგებლობისა. რაც შეეხება 8 საათის სამუშაოდლის შემოღებას, კრებამ მოუხერხებლად ხნდ სახელწიფო ინტერესებისათვის, რადგან 8 საათის სამუშაოდ დღე, ერთის მხრივ მიხანია სდგ. პარტიისა და მეორეთ მხრივ შეადგენს ერთ უმთავრეს საპროპაგანდ საგანს სახდვარგარეთელ რევოლუციონერებისა ჩვენს მუშებს შიღრის. სამუშაოდ დღე უნდა შემოკლდეს სხვა-და-სხვა კარემებათა მიხედვით, რომ არ დაუშალოს სახელმწიფო ინტერესებს.

როგორცხედავთ მთავრობას სურს გოტათი გააუმჯობესო მუშათა ეკონომიური მდგომარეობა და მით მოხბო მუშების მიხწრაფება თავისუფლებისაკენ. არა გვცნია, რომ შეგნებული მუშები მოხტყუდენ ამ სრიკით.



საიდუმლოდ განკარგულება სომხებზე.

გარემე საქმეთა სამინ. კავკ. განყოფილება საიდუმლოდ ხწერს (№ 480) ყარსის ოლქის ჯარების უფროსს : ჩვენ მოგვივია ცნობები, რომ ოხმალეთის სომხები რვე. კომიტეტების მიერ შეკულიანებულნი, ემზადებიან აჯანყებისათვის, იმ მიხნით, რომ გამოიწვიონ სასტიკი წდმები ოხმალეთის მთავრობის მხრით და მით მიიქციონ ევროპის ყურადღება, რომელიც თხოულობს სონტპრის მიერ დაპირებულ რეფორმებს. ოხმალეთის მთავრობის ხელთაა საბუთები, რომლებითაც მტკიცდება კავშირი ოხმალეთის სომხების კავკასიის რვე. კომიტეტებთან. ოხმალეთის მთავრობის ახრით უმთავრესი ადგილები საიდამაც კავკ. სომხები აპირებენ მოქმედებას ართვინი და ოლთია. მიიღეთ ყოველივე ეს მხედველობაში, თქვენდ ბრწყინვალეგა და საჭიროდ განკარგულება მოახდინეთ.

რუსეთი პირველი მტერია ყოველ რეფორმებისა ოხმალეთის სასომხეთდში. რუსეთის ელჩმა ლობანოვ-როსტოვსკიმ პირდაპირ გამოაცხადა, რუსეთი არ შეიწყნარებს მეორე ბოლგარიას მეორე აზიაში. დღემდე სომხები მოტყუებულნი იყვნენ და იმედი ჰქონდათ ქრისტიან რუსეთისა ;

(1) „სამოქალაქო ომი“ 1893 წ. წინახიტყვობის ბოლდ.

რდგორც მორჩეულნი არიან ზღვიერთი ჩვენი მოღვაწე-  
ნი, რომელთაც ჰგონიათ რძმ ლაქუციით მოიგებენ რუსეთის  
მთავრობის გულსა. შეიხედონ გოლიცინის კანცელარიაში  
და ქართველებსედაც ბევრს საიდუმლო განკარგულებას ჰპლ-  
კებენ. გვეყვად დამცირება ჩვენც წამოვდგეთ ფეხზე და ვი-  
ვრძნეთ, რომ ჩვენც ადამიანები ვართ.

—(—)

**სპარსეთის შაჰი და რუსეთის ხელმწიფე.**

სპარსეთის შაჰმა შემდეგი ფირმანი გამოცხადებდა სომხების  
შესახებ: „სომხის ერთი ძველთაგან პატივცემული ტახტის  
მიერ, ფიქრობს გამრავლდეს თავის სკოლების რიცხვი თეი-  
რანში, თავრიზში და სხვაგან. სომხების სურვილი ეთანხ-  
მება ჩვენს აზრს, ჩვენ მუდამ ვფიქრობთ ჩვენს ქვეყნ-  
დღმთა ყოფის გაუმჯობესობაზე. ჩვენ ნებას ვაძლევთ სომ-  
ხებს ამ ფირმანით, გახსნან სკოლები და ამასთანავე ვუ-  
ბრძანებთ ჩვენს მოხელეებს ყოველგვარი დახმარება აღმო-  
უჩინონ. ფირმანი მოწერილია რეჯაბის თვეში 1318 წ.

16 ნოემბერს 1903 წ. რუსეთის მინისტრმა პლევემ გაუ-  
გზავნა ექსიპიანის სინოდს შემდეგი ბრძანება: იმპერატორ-  
მა თანახმად ჩემის მოვსენებისა კეთილ იხება გამოცხადებ  
შემდეგი ბრძანება. მომავალში, ვიდრე მოხდება რევიზია  
სომხების სარწმუნოების და ადმინისტრაციულ დაწესებუ-  
ლებებისა, ყოველ ეკლესიების და სკოლების მოხელენი (არ-  
სიმიანდრიტები, ღვდლები, დიაკვნები, სემინარიის პრდევ-  
სორები, ექმ. სინოდის წევრნი და სს.) დაინიშნებიან მხო-  
ლოდ მთავრობის საგანგებო ნებართვით. მკითხველმა თი-  
თონ შეადარდეს მაჰმადიან და ქრისტიან დებსორების გან-  
კარგულებანი და სცნოს როგორ იქნება ღვთის მოყვარე  
და ქრისტიანი რუს. ხელმწიფე. ესევე იქნება იგი სამეგრე-  
ლოში, სადაც ვლადიმეროვი და დიმიტრი აბამიძე ნაგარ-  
დებენ.

**ს ს ვ ა - ღ ა - ს ს ვ ა ა მ მ ე ბ ი**

ფინლანდიაში.  
ქ. პერნოში ფინლანდელებმა უარი განაცხადეს სამხედ-  
რო კომისიის არჩევანზე, რადგან უკანასკნელი სალდათობის  
განძნი უკანონოთ მიაჩნდათ და ვერ ვეძახებოდნენ ფინ-  
ლანდიის გარუხებასად. ამას წინათ ერთ მოწვევებულ მსა-  
ჯულის ბ. მაინანდერის სახლში შეკრებილნი იყვნენ ფინ-  
ლანდელები მათ შორის იყვნენ თავმჯდომარენი ბ-ნი სე-  
გესტრალი და რდხელიუსი. სადამოთი პოლიციელები შე-  
გვივდნენ ამ სახლში და ერთმა მათგანმა დაუყვირა. თქვენი  
მოვალეობა არის ამოღრჩილთ სამხედრო კომისია, ვინც  
თქვენგანი პირველი წამოვდგება დახვრეტოლ იქნება ამ  
საათში. მაშინ წამოვდგა მოხუცი მაინანდერი და უპასუხა:  
ეს ჩემი სახლია თუ გნებავთ დამსვრიტეთ. პოლიციელებმა  
მუქარის ასრულების მაგიერ შებოტყეს და პეტერბურგში გა-  
გზავნეს. ასეთი განლავთ ბობრიკოვის რეჟიმი. რაღა ბობ-  
რიკოვი და რაღა გოლიცინი, ერთმანეთს არ ჩამოუვარ-  
დებიან.

—(—)

ქართველების შეთანხმება რუსეთის სსვა ერთ-  
თან.

„საქართ.“ ფრანგ. გამოცემაში დაბეჭდილი იყო მოწოდებ-  
ის წერილი „შეთანხმება რუსეთის სსვა-და-სსვა ერთ-  
შორის“ ამ წერილმა უკვე თავის მიზანს მიაღწია. სომხებს  
სურთ მომავალ ვლადიმეროვსე გაარჩიონ წინადადება ქართვე-  
ლებთან ერთად მოქმედებისა. პოლიციელები წინადადებას  
იძლევიან საერთოდ ორგანოდ დაგაარსოთ სადაც გამოცხადებ-  
ვათ ჩვენი სოლიდარობა. ფინლანდიელებს მოლაპარაკებ-  
აქვთ. დიდი საჭიროებათ მიგვაჩნია ამგვარი ერთობა. რა-  
საკვირველია რუსეთის რევოლუციონური პარტიებიც რომ-  
ლებიც შეიწყნარებენ ჩვენს ავტორიტეტს არ უნდა დაგვაფ-  
წყდენ.

**ფ ო ს ტ ი ს ყ უ თ ი**

**მ—შვილს** — რატომ არ აასრულეთ თქვენი დაპირე-  
ბა და არ გვიგზავნით კორესპონდენციებს ?

**მგელს** — რას გაჩუქდით, რა იქენით. ამბები მოგვა-  
წოდეთ.

**მკითხველს** — ჩვენი პოლიტიკური და ეკონო-  
მიური პროგრამა და მოქმედების სამუალებს  
ნათლად ხჩანს ჩვენს წერილებში. პროპაგანდა  
და მოქმედება ყველა პროგრამებსა სჯობია.  
წლის დამლევს აკადემიური პროგრამაც დაიბეჭ-  
დება.

ვსთხოვთ იმათ, ვისაც რაიმე საქმის დაჭერა სურთ  
ჩვენთან, თავიანთი ადრესები გარკვევით დასწე-  
რენ,

M. Bragin-ს — პასუხი გამოგიგზავნეთ, მაგრამ წე-  
რილი ფობტამ უკანვე მოგვიტანა.

**გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა .**

**ვაცხალებთ, რომ ვკისრულობთ მსურველთ და-  
კუხებადლოთ; არალმებალუკი წიგნები, წერილები,  
წიგნაკები, პროკლამაციები და გაფითები.**